განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

სამართლის საბაკალავრო პროგრამა

შპს - კავკასიის უნიცერსიტეტი

შეფასების თარიღ(ებ)ი: 21 თებერვალი

დასკვნის წარდგენის თარიღი: 26 მარტი

თბილისი
2019

ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მითითებით	შპს - კავკასიის უნივერსიტეტი
დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი	205050567
დაწესებულების სახე	უნივერსიტეტი

ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	სამართალი
განათლების საფეხური	ბაკალავრიატი
მისანიჭებელი კვალიფიკაცია კვალიფიკაციის კოდის მითითებით	სამართლის ბაკალავრი (06)
სწავლების ენა	ქართული, ინგლისურენოვანი კომპონენტებით
კრედიტების რაოდენობა	240
პროგრამის სტატუსი (ავტორიზებული/აკრედიტებული/ახალი)	აკრედიტებული

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	დიმიტრი გეგენავა სულხან-საბა ორბელიანის სასაწავლო უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	გიორგი მახარობლიშვილი ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	მალხაზ ნაკაშიძე ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ილია წიკლაური ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემაჯამებელი დასკვნა

- **ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ**

სამართლის საბაკალავრო პროგრამა 240 კრედიტს მოიცავს. იგი შედგება სავალდებულო და არჩევითი კომპონენტებისგან. კავკასიის უნივერსიტეტი სამართლის საბაკალავრო პროგრამას ახორციელებს 2009 წლიდან, 2014 გაიარა აკრედიტაცია. წლების განმავლობაში პროგრამაში სხვადასხვა ცვლილება განხორციელდა, რამაც საბოლოო ჯამში ჩამოაყალიბა მისი არსებული სახე.

- **აკრედიტაციის ვიზიტის მიმოხილვა**

აკრედიტაციის ვიზიტი განხორციელდა 21 თებერვალს. ვიზიტი საინტერესოდ და საქმიანად წარიმართა, კავკასიის უნივერსიტეტის პერსონალის მხრიდან მოწოდებულ იქნა ყველა საჭირო დოკუმენტაცია, უნივერსიტეტი იყო ღია თანამშრომლობისთვის, რის გამოც ვიზიტი ნაყოფიერად და წარმატებით დასრულდა.

- **საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობის მოკლე მიმოხილვა**

სამართლის საბაკალავრო პროგრამა გამართული და მდგრადია, იგი წარმატებით ხორციელდება. სასწავლო კურსები და სილაბუსები გამართულია, შეესაბამება აკრედიტაციის სტანდარტს. დახვეწას და გამართვას საჭიროებს პროგრამის შედეგები, ასევე, აუცილებელია დამსაქმებლები უშუალოდ იყვნენ ჩართულები პროგრამის შექმნის პროცესში. გასაუმჯობესებელია ხარისხის მართვის მექანიზმები და გარე შეფასების მიმართულება.

- **რეკომენდაციები**

  - პროგრამის მიზნების შემუშავებაში უფრო აქტიურად უნდა ჩაერთონ დამსაქმებლები, მონაწილეობა მიიღონ უშუალოდ პროგრამის მიზნების განსაზვრაშიც, რათა საბაკალავრო პროგრამა შრომის ბაზარზე სრულად იყოს ორიენტირებული.
  - რეკომენდებულია, პროგრამის სწავლის შედეგები გაწერილი იყოს იმგვარად, რომ ის გაზომვადი, მიღწევადი და რეალისტური იყოს. შესაბამისად, უნდა შემცირდეს პროგრამის სწავლის შედეგები.
  - რეკომენდებულია, რომ თვითშეფასების ანგარიში ანალიტიკური სახის იყოს ვიდრე ნარატივით გადატვირთული და თან აუცილებელია მასში წარმოდგენილი იყოს პროგრამასთან დაკავშირებული არსებითი ელემენტები: თვითშეფასება სწორედ პროგრამის ხელმძღვანელისა და ადმინისტრაციის თვალით დანახული განხორციელების პროცესია და მასში უნდა ჩანდეს პროგრამის განხორციელების პროცესთან დაკავშირებული ყველა ფაქტობრივი მდგომარეობა და რეალობა.
  - თვითშეფასების ანგარიშს უნდა ერთვოდეს ის მტკიცებულება, რომელზე დაყრდნობითაც ის რეალურად შესრულდა.
  - ყველა სილაბუსში მკაფიოდ და ამომწურავად უნდა იყოს გაწერილი შეფასების მეთოდები და კრიტერიუმები. სტუდენტს უნდა ჰქონდეს ამომწურავი ინფორმაცია, თუ როგორ, რა კრიტერიუმებითა და მეთოდებით შეფასდება.

- პროფესორებმა, რომლებიც არ არიან პრაქტიკოსები და ამ ნიშნით არ კითხულობენ ლექციებს, უნდა გააძლიერონ კვლევითი კომპონენტში, აუცილებელია პროფესორები იკვლევდნენ და ქმნიდნენ აკადემიურ პროდუქციას სამართალში.

- **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

- მიზაშეწონილია უნივერსიტეტში არსებული სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონული პორტალი აღიჭურვოს აკადემიურ/მოწვეულ პერსონალთან, ანუ სასწავლო კურსის ხელმძღვანელთან მიმოწერის ფუნქციით. ერთიანი ცენტრალიზებული საკომუნიკაციო სისტემა, ელ-ფოსტის, სოციალური ქსელების, სატელეფონო და პირადი კონსულტაციებთან ერთად უკეთ უზრუნველყოფს აკრედიტაციის აღნიშნული სტანდარტის პრაქტიკაში განხორციელებას.
- მიზანშეწონილია უნივერსიტეტმა იზრუნოს სტუდენტთა კარიერული განვითარებისა და დასაქმების მხარდაჭერის მიზნით სხვადასხვა ორგანიზაციებთან პარტნიორობის გაფართოებაზე, იმგვარად, რომ პრაქტიკაში უკეთ განხორცილედეს სტუდენტთა კარიერული განვითარებისა და დასაქმების მხარდაჭერა.
- სასურველია ბიბლიოთეკაში წიგნები დალაგდეს და განთავსდეს უნივერსალური აღრიცხვის კოდების (UDC) მიხედვით, რათა დოქტორანტებს გაუმარტივდეთ წიგნების მოძიება თემატურად უშუალოდ საბიბლიოთეკო სივრცეში.
- სასურველია უნივერსიტეტმა უზრუნველყოს სტუდენტების ავტორიზებული წვდომა „საქართველოს საკანონმდებლო მაცნის“ მომსახურებაზე

- **საუკეთესო პრაქტიკის მოკლე მიმოხილვა (არსებობის შემთხვევაში)**

- **განმეორებითი აკრედიტაციისას, მნიშვნელოვანი მიღწევებისა და/ან პროგრესის მოკლე მიმოხილვა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)**

პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა

პროგრამას აქვს ნათლად ჩამოყალიბებული მიზნები და სწავლის შედეგები, რომლებიც ლოგიკურადაა ერთმანეთთან დაკავშირებული. პროგრამის მიზნები შეესაბამება უნივერსიტეტის მისიას, მიზნებსა და სტრატეგიულ გეგმას. პროგრამის გაუმჯობესებისთვის მუდმივად ფასდება პროგრამის სწავლის შედეგები.

1.1 პროგრამის მიზნები
პროგრამის მიზნები ასახავს, თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულის მომზადებისკენ არის მიმართული იგი და რა წვლილი შეაქვს დარგისა და საზოგადოების განვითარებაში.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი საბაკალავრო პროგრამაში მოცემულია პროგრამის მიზნების დეტალური ჩამონათვალი. ისინი როგორც ზოგადაბსტრაქტული, ისე ძალზე კონკრეტული და შედეგზე ორიენტირებულია. პროგრამა მიზნად ისახავს როვნული სამართლის ძირთადი ინსტიტუტების, ღირებულებების შესახებ ცოდნის გადაცემას საჯარო, კერძო, სისხლის და საერთაშორისო სამართლის მიმართულებით. იგი ორიენტირებულია კურსდამთავრებულს ჰქონდეს არა მხოლოდ თეორიული ცოდნა, არამედ პრაქტიკული უნარები, რომელთაც გამოყენებითაც შეძლებს კონკრეტული პრობლემების ანალიზს, შემთხვევებისთვის სათანადო კვალიფიკაციის მისადაგებას. გაწერილი მიზნები რეალური, მიღწევადი და გაზომვადია როგორც ცოდნა-გაცნობიერების, ისე კომპეტენციურ და ღირებულებით ნაწილში. კურიკულუმი თანხვედრაშია პროგრამით განსაზღვრულ მიზნებთან, საგნების სპეციფიკა და მათში გაწერილი მიზნები შეესატყვისება პროგრამის მიზნებს. პროგრამის თვითშეფასებაში მოცემულია, რომ პროგრამის შედეგები ორიენტირებულია შრომის ბაზარზე და სრულად ითვალისწინებს მის მოთხოვნებსა და გამოწვევებს, თუმცა არ ირკვევა, კონკრეტულად როგორ მოხდა ამ მოთხოვნებისა და გამოწვევების ტრანსფორმირება პროგრამის მიზნებად. უმჯობესი იქნებოდა შრომის ბაზრის ანალიზი, ასევე, დამსაქმებლებთან უფრო მჭიდრო კომუნიკაცია, მათი უშუალო ჩართვა როგორც პროგრამის საჭიროებების, ისე მიზნების დადგენის პროცესში. აღნიშნული პირდაპირ განაპირობებდა დამსაქმებელთა უკუკავშირის შედეგების პირდაპირ იმპლემენტაციას.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ საბაკალავრო პროგრამა ○ პროგრამის თვითშეფასების ანგარიში ○ ინტერვიუები

რეკომენდაციები: ○ პროგრამის მიზნების შემუშავებაში უფრო აქტიურად უნდა ჩაერთონ დამსაქმებლები, მონაწილეობა მიიღონ უშუალოდ პროგრამის მიზნების განსაზვრაშიც, რათა საბაკალავრო პროგრამა შრომის ბაზარზე სრულად იყოს ორიენტირებული.
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ○ გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან √ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

1.2 პროგრამის სწავლის შედეგები
➢ პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნას, უნარებსა ან/და პასუხისმგებლობასა და ავტონომიურობას, რომლებსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას; ➢ პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესი მოიცავს სწავლის შედეგების გასაზომად საჭირო მონაცემთა განსაზღვრას, შეგროვებასა და ანალიზს; ➢ შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი პროგრამის სწავლის შედეგები გაწერილია პროგრამის სააკრედიტაციოდ წარმოდგენის მომენტისათვის არსებული ეროვნული კვალიფიკაციათა ჩარჩოსა და სამართლის დარგობრივი მახასიათებლის მიხედვით. პროგრამა შეესაბამება კვალიფიკაციის შესაბამის დონეს და მისანიჭებელ კვალიფიკაციას. თვითშეფასების ანგარიშს საბაკალავრო პროგრამის შემთხვევაში თან არ ერთვის (არ აქვს) შრომის ბაზრის ან/და კურსდამთავრებულთა პროფესიით დასაქმების სფეროების მოთხოვნები. ამასთან, პროგრამის შემუშავებაში ნაკლებად შეინიშნება ყველა

დაინტერესებული მხარის ჩართულობა, განსაკუთრებით დამსაქმებლების და მოწვეული პერსონალის.

პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნას, უნარებსა და პასუხისმგებლობა/ავტონომიურობასა, რომელიც დარგობრივი მახასიათებლის თანახმად კურსდამთავრებულს უნდა ჰქონდესა ან/და უნდა შეეძლოს. თუმცა, პროგრამის სწავლის შედეგები დარგობრივი მახასიათებლის მიხედვით არის ჩაშლილი ექვს კომპონენტად ისევ, მიუხედავად იმისა, რომ აკრედიტაციის სტანდარტი და საქართველოს კანონი „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ ითვალისწინებს სამდონოვან სწავლის შედეგთა შეჯამების დანაწესს. აქვე აღსანიშნავია, რომ პროგრამის სწავლის შედეგების ზემოაღნიშნული რაოდენობრივი განსაზღვრა პროგრამის სწავლის შედეგზე არსებით გავლენას, ამ ეტაპზე, არ ახდენს, მაგრამ ერთი გარემოება აუცილებლად უნდა აღინიშნოს: ბაკალავრიატის პროგრამის სწავლის შედეგი 27-ზე მეტ შედეგს მოიცავს, რაც არათუ მიღწევისითვის ან/და პროგრამის სწავლის შედეგის აღიარებული/სარეკომენდაციო რაოდენობისგან (ის შედგება 6-10 შედეგისაგან) განსხვავებულია, არამედ სწავლის შედეგები რთულად გაზომვადი, მიღწევადი და ნაკლებად რეალისტურია.

თვითშეფასების ანგარიშში არ არის მოცემული პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი, არ არის ანალიტიკურად გააზრებული ის მექანიზმები, რაც სააკრედიტაციოდ წარმოდგენილ დოკუმენტებშია მოცემული - პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი. სასურველია, რომ თვითშეფასების ანგარიში ამ მხრივ ანალიტიკური სახის იყოს ვიდრე ნარატივით გადატვირთული. აქვე აღსანიშნავია, რომ პროგრამის სწავლის შეფასების მექანიზმი ითვალისწინებს პროგრამის პირდაპირ და ირიბი შეფასების მეთოდებს, თუმცა სამიზნე ნიშნულის აღების/ათვლის წერტილად რა პრინციპი თუ მონაცემია აღებული არ ჩანს.ასევე, თვითშეფასების ანგარიშიდან არ იკვეთება პროგრამის სწავლის შედეგებზე დაკვირვების გრაფიკის ათვლის წერტილის საფუძველი.

თვითშეფასების ანგარიშში მოცემულია, რომ პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად, თუმცა არ არის წარმოდგენილი ის ცვლილება თუ ფაქტობრივად განხორციელებული ქმედების მტკიცებულებები, რომელიც პროგრამაში ცვლილებების განხორციელებას პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების შედეგების შედეგად დაედო საფუძვლად, რამდენადაც, აუცილებელია სწავლის შედეგების შეფასების შედეგების დადარება სამიზნე ნიშნულებთან და მიღებული შედეგების ანალიზის მიხედვით სამომავლო ცვლილებების დაგეგმვა.

პროგრამის აკადემიური პერსონალი სწავლის შედეგების შეფასების მეთოდებსა და იმ მექანიზმს, რომელიც სააკრედიტაციო დოკუმენტებშია წარმოდგენილი, ნაკლებად იცნობს ან ჰქონია შემხებლობა.

ინტერვიუირებისას გამოიკვეთა, რომ პროგრამის განმახორციელებელი პერსონალი მეტ-ნაკლებად იღებს მხარდაჭერას სწავლის შედეგების შედგენაში.

თვითშეფასების ანგარიშის შედგენაში მტკიცებულებად მითითებულია ბაკალავრიატის პროგრამისათვის შრომის ბაზრისა და დამსაქმებელთა მოთხოვნების ანალიზი, ტუმცა წარმოდგენილ დოკუმენტაციაში არ არის სახეზე ბაკალავრიატის პროგრამასთან დაკავშირებული არც შრომის ბაზრის კვლევა და არც დამსაქმებელთა მოთხოვნების ანალიზი. უფრო ნათელი რომ იყოს: წარმოდგენილ დოკუმენტებში მოცემულია დამსაქმებელთა გამოკითხვის შედეგი, რომლის ანალიზი არ არის განხორციელებული, ანუ გამოკითხვა ჩატარებულია, თუმცა მისი ანალიზი არ არის შესრულებული. შესაბამისად, თვითშეფასების ანგარიშს უნდა ერთვოდეს ის მტკიცებულება, რომელზე დაყრდნობითაც ის რეალურად შესრულდა.
მტკიცებულებები/ინდიკატორები • სამართლის საბაკალავრო საგანმანათებლო პროგრამა; • სამართლის საბაკალავრო პროგრამის თვითშეფასების ანგარიში; • პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი; • ინტერვიუირება.
რეკომენდაციები: • რეკომენდებულია, პროგრამის სწავლის შედეგები გაწერილი იყოს იმგვარად, რომ ის გაზომვადი, მიღწევადი და რეალისტური იყოს. შესაბამისად, უნდა შემცირდეს პროგრამის სწავლის შედეგები. • რეკომენდებულია, რომ თვითშეფასების ანგარიში ანალიტიკური სახის იყოს ვიდრე ნარატივით გადატვირთული და თან აუცილებელია მასში წარმოდგენილი იყოს პროგრამასთან დაკავშირებული არსებითი ელემენტები: თვითშეფასება სწორედ პროგრამის ხელმძღვანელისა და ადმინისტრაციის თვალით დანახული განხორციელების პროცესია და მასში უნდა ჩანდეს პროგრამის განხორციელების პროცესთან დაკავშირებული ყველა ფაქტობრივი მდგომარეობა და რეალობა. • თვითშეფასების ანგარიშს უნდა ერთვოდეს ის მტკიცებულება, რომელზე დაყრდნობითაც ის რეალურად შესრულდა.
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან √ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა		√		

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, პროგრამის სტრუქტურა, შინაარსი, სწავლება-სწავლის მეთოდები და სტუდენტთა შეფასება უზრუნველყოფს დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

2.1. პროგრამაზე დაშვების წინაპირობები
უსდ-ს განსაზღვრული აქვს პირთა პროგრამაზე დაშვების შესაბამისი, გამჭვირვალე, სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომი წინაპირობები და პროცედურები.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის წინაპირობები განსაზღვრულია სამართლის საბაკალავრო პროგრამაში. პროგრამაზე დაშვების უფლება აქვს სრული ზოგად განათლების დამადასტურებელი სახელმწიფო სერტიფიკატის/ატესტატის ან მასთან გათანაბრებული დოკუმენტის მქონე პირს, ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგების საფუძველზე. პროგრამაზე სტუდენტთა მიღება/ჩარიცხვა შესაძლებელია ერთიანი ეროვნული გამოცდების გარეშე, რაც ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად. სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე მობილობის წესით ჩარიცხვა ხდება წელიწადში ორჯერ, სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის

დირექტორის მიერ დადგენილ ვადებში, სავალდებულო პროცედურებისა და უნივერსიტეტის მიერ დადგენილი წესების დაცვით. სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვა, ან გადმოყვანის წესით ჩარიცხვა უცხო ქვეყნის აღიარებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან ხორციელდება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს გადაწყვეტილების საფუძველზე. პროგრამაზე სწავლის მსურველმა აუცილებლად ერთიან ეროვნულ გამოცდებზე უცხო ენაში უნდა ჩააბაროს ინგლისური ენა. პროგრამაზე დაშვების წინაპირობების შესახებ ინფორმაცია განთავსებულია უნივერსიტეტის ვებგვერდზე დახელმისაწვდომია დაინტერესებული პირებისათვის.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ საბაკალავრო პროგრამა ○ პროგრამის თვითშეფასების ანგარიში ○ ინტერვიუები ○ ვებგვერდი
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა √ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.2 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი

პროგრამა შედგენილია უსდ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით. პროგრამის შინაარსი ითვალისწინებს პროგრამაზე დაშვების წინაპირობებსა და სწავლის შედეგებს. პროგრამის სტრუქტურა თანმიმდევრული და ლოგიკურია. შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა შედგება არასპეციალობის სასწავლო კურსების, ინგლისური ენის კომპონენტის, სამართლის საფუძვლებისა და მეთოდების მოდულის, საჯარო სამართლის მოდულის, კერძო სამართლის მოდულის, სისხლის სამართლის მოდულის, საერთაშორისო სამართლის მოდულის, პრაქტიკული უნარების კომპონენტის და თავისუფალი კომპონენტისგან. მოდულში გაერთიანებული სასწავლო კურსები ერთმანეთთან ლოგიკურ კავშირშია და თითოეული მათგანის შესწავლა შესაძლებელია სავალდებულო წინაპირობა იყოს პროგრამის კურიკულუმით გათვალისწინებული დანარჩენი სასწავლო კურსების შესწავლისა.

სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის 180 ECTS კრედიტი ეთმობა პროფესიისათვის აუცილებელი კომპეტენციების გამომუშავებას, მათ შორის, 140 ECTS კრედიტი ეთმობა სპეციალობის სავალდებულო სასწავლო კურსებს, 40 ECTS კრედიტი - არჩევით სასწავლო კურსებს, და 22 ECTS კრედიტი კი, - პრაქტიკულ უნარ-ჩვევებზე სრულად ორიენტირებულ კურსებს.

სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის 25 ECTS კრედიტი ეთმობა უცხო ენების (ინგლისური ენა) მოდულს, ხოლო 13 ECTS კრედიტი - არასპეციალობის სასწავლო კურსებს.

უნივერსიტეტში ვიზიტის დროს ინტერვიუებიდან გამოიკვეთა, რომ უნივერსიტეტს შეთავაზებული აქვს ბევრი არჩევითი კურსი, თუმცა სტუდენტებმა და პროფესორებმა დაადასტურეს რომ ხშირად იყო კურსები, რომლებიც ხანგრძლივი დროის განმავლობაში შეთავაზების მიუხედვად არ აირჩეოდა სტუდენტების მიერ, რის გამოც სტუდენტების აზრის გათვალისწინებით ასეთი კურსები შეცვლილ იქნა სხვა კურსებით. მათი განმარტებით ეს ძირითადად გამოწვეული იყო ნაკლები ინტერესით ცალკეული სასწავლო კურსების მიმართ.

სამართლის საბაკალავრო პროგრამის კურიკულუმი გამოქვეყნებულია უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე, რაც უზრუნველყოფს პროგრამის შესახებ საჯაროობასა და ხელმისაწვდომობას.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საბაკალავრო პროგრამა
- პროგრამის თვითშეფასების ანგარიში
- ინტერვიუები
- ვებგვერდი

რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა √ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.3. სასწავლო კურსი
➢ ძირითადი სპეციალობის თითოეული სასწავლო კურსის სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს, ხოლო ყოველი სასწავლო კურსის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა შეესაბამება ამ კურსის სწავლის შედეგებს; ➢ სილაბუსში მითითებული სასწავლო მასალა დაფუძნებულია სწავლის სფეროს/დარგის აქტუალურ მიღწევებზე და უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი სამართლის საბაკალავრო პროგრამის სასწავლო კურსის სილაბუსებში მკაფიოდ არის ჩამოყალიბებული კურსის მიზანი, მიზნის შესაბამისად განსაზღვრულია საგნის შინაარსი და სწავლის შედეგები. სასწავლო კურსის სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგს. სამართლის საბაკალავრო პროგრამის სილაბუსები შედგება შემდეგი კომპონენტებისგან: სასწავლო კურსის დასახელება, სასწავლო კურსის კოდი, სასწავლო კურსის ანოტაცია,

სასწავლო კურსის სტატუსი, კრედიტების რაოდენობა, სასწავლო კურსის საფეხური, მონაცემები ლექტორის შესახებ, სასწავლო კურსის ხანგრძლივობა, სასწავლო კურსის ფორმატი, სასწავლო კურსის მიზანი, სწავლის შედეგი, სავალდებულო ლიტერატურა, დამხმარე ლიტერატურა და ინფორმაციის სხვა წყაროები, სწავლებისა და სწავლის მეთოდები, სტუდენტის მიმართ წაყენებული მოთხოვნები, ცოდნის შეფასების ფორმები და კრიტერიუმები, სასწავლო კურსის შინაარსი. თითოეული სასწავლო კურსი ლოგიკურად არის ორგანიზებული სემესტრების და წლების მიხედვით, რაც ნათლად ჩანს პროგრამის სტრუქტურასა და კურიკულუმის რუკაზე. პროგრამაში კრედიტების დაანგარიშების წესი ემყარება სტუდენტის მიერ პროფესორ-მასწავლებელთან სასწავლო გარემოში გატარებულ საათებს და ასახავს სამუშაოს იმ მოცულობას, რომელიც საჭიროა კონკრეტულად რომელიმე კომპონენტის დასასრულებლად. კურსის შეფასებაში გამოიყენება მრავალფეროვანი შეფასების სისტემა, რომელიც უზრუნველყოფს სტუდენტის ჩართულობას სასწავლო პროცესის მიმდინარეობისას. გამოიყენება როგორც სტანდარტული შუალედური და ფინალური გამოცდები, ასევე ზეპირი გამოკითხვა, წერითი გამოკითხვა, საშინაო დავალება, პრეზენტაცა, კაზუსის ამოხსნა, იმიტირებული პროცესი და ა.შ. სილაბუსებში მითითებული ლიტერატურა და სხვა სასწავლო მასალა შეესაბამება კურსის სწავლის შედეგებს; სახელმძღვანელოებთან ერთად, სტუდენტები ეცნობიან შესაბამის ნორმატიულ მასალას და სასამართლო გადაწყვეტილებებს.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ საბაკალავრო პროგრამა ○ პროგრამის თვითშეფასების ანგარიში ○ სილაბუსები ○ ინტერვიუები
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა √ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.4 პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება
პროგრამა უზრუნველყოფს, სწავლის შედეგების შესაბამისად, სტუდენტთა პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარებას და/ან მათ კვლევით პროექტებში ჩართვას.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი სამართლის საბაკალავრო პროგრამა შედგენილია საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების შესახებ მეთოდოლოგიის გამოყენებით რაც დამტკიცებულია კავკასიის უნივერსიტეტის პრეზიდენტის 2018 წლის 21 თებერვლის N01/01-03 ბრძანებით. კავკასის უნივერსიტეტის სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა მოიცავს არანაკლებ 240 ECTS კრედიტს. წელიწადში – 60 ECTS კრედიტს. შესაბამისად, საბაკალავრო პროგრამის ხანგრძლივობა შეადგენს 4 აკადემიურ წელს. სასწავლო წელი აგებულია სემესტრული პრინციპით. ერთი სემესტრი მოიცავს 20 სასწავლო კვირას, შესაბამისად სასწავლო წელი დაგეგმილია 40 კვირაზე. 1 ECTS კრედიტი უდრის 25 საათს, რაც მოიცავს, როგორც სტუდენტის საკონტაქტო დატვირთვის დროს (ლექცია, სემინარი, პრაქტიკუმი და სხვა), ასევე მისი დამოუკიდებელი მუშაობის დროს (შუალედური და საბოლოო შეფასებისათვის, აგრეთვე საშინაო დავალების მომზადებისა და პრეზენტაციისათვის განკუთვნილ საათებს). სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის 180 ECTS კრედიტი ეთმობა პროფესიისათვის აუცილებელი კომპეტენციების გამომუშავებას, მათ შორის, 140 ECTS კრედიტი ეთმობა სპეციალობის სავალდებულო სასწავლო კურსებს, 40 ECTS კრედიტი -

არჩევით სასწავლო კურსებს, და 22 ECTS კრედიტი კი, - პრაქტიკულ უნარ-ჩვევებზე სრულად ორიენტირებულ კურსებს. სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის 25 ECTS კრედიტი ეთმობა უცხო ენების (ინგლისური ენა) მოდულს, ხოლო 13 ECTS კრედიტი - არასპეციალობის სასწავლო კურსებს.

პროგრამის მიხედვით სტუდენტის სწავლა და სწავლება ორიენტირებულია პრაქტიკული კომპეტენციების გამომუშავებაზე. კაზუისტიკა და სიმულაციური პროცესები სტუდენტის ცოდნის დონის შეფასების პრიორიტეტული ფორმაა. სტუდენტის გამოკითხვა სემესტრის განმავლობაში წარმოებს თითქმის ყველა მეცადინეობაზე.

სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა ითვალისწინებს პრაქტიკული უნარების განვითარებაზე მიმართულ კომპონენტს. აღნიშნული კომპონენტის ფარგლებში სტუდენტი გადის აკადემიურ წერას, სამართლებრივ დასაბუთებას და პროფესიული ეთიკის სავალდებულო სასწავლო კურსებს. სულ 16 კრედიტს. პრაქტიკული უნარების განსავითარებლად სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა არჩევითი კომპონენტის სახით ითვალისწინებს პრაქტიკულ კურსებს კერძო სამართალში, სისხლის სამართალში და საჯარო სამართლში, რაც გულისხმობს შესაბამის დარგებში პრაქტიკული უნარების განვითარებას და აღნიშნული კომპონენტიდან სავალდებულოა 6 კრედიტის დაგროვება. კომპონენტის ითვალისწინებს სტუდენტის აქტივობას პრაქტიკული სამართლის კლინიკაშიც. განსაკუთრებით აღსანიშნავია რომ სამართლის სკოლას გააჩნია კარგად ორგანიზებული სასამართლო პროცესების საიმიტაციო დარბაზი, რაც საშუალებას აძლევს ბაკალავრს მიიღოს პრაქტიკულ უნარებზე დაფუძნებული განათლება.

სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტს უფლება აქვს საჯარო სამართლის, საერთაშორისო სამართლის, სისხლის სამართლისა და კერძო სამართლის მოდულების არჩევითი სასწავლო კურსების ნაცვლად, უნივერსიტეტის სხვა საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამებიდან წინაპირობების დაცვით, თავისი ინტერესების შესაბამისად, აირჩიოს ნებისმიერი სასწავლო კურსი, მაგრამ არა უმეტეს 12 კრედიტისა. სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე მობილობის წესით ჩარიცხულ სტუდენტს თავისუფალი კომპონენტის სახით შეიძლება ეღიაროს სხვა სასწავლო კურსები, რომლებიც ათვისებული აქვს სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში.

სამართლის საბაკალავრო პროგრამის კურიკულუმი გამოქვეყნებულია უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე, რაც უზრუნველყოფს პროგრამის შესახებ საჯაროობასა და ხელმისაწვდომობას.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საბაკალავრო პროგრამა
- პროგრამის თვითშეფასების ანგარიში
- სილაბუსები
- ინტერვიუები
- ვებგვერდი

რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა √ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.5. სწავლება-სწავლის მეთოდები
პროგრამა ხორციელდება სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება-სწავლის მეთოდების გამოყენებით. სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება სწავლების საფეხურს, კურსის შინაარსს, სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი თვითშეფასების ანგარიშის და სასწავლო პროგრამის სილაბუსების მიხედვით, სწავლის პროცესში გამოიყენება სწავლების შემდეგი მეთოდები: ვერბალური, ანუ ზეპირსიტყვიერი, წიგნზე მუშაობის, წერითი მუშაობის, დემონსტრირების,, პრაქტიკული შემთხვევის ანალიზის (Case study), პრობლემაზე დაფუძნებული სწავლების (PBL), ინდუქციური, დედუქციური, ანალიზის, სინთეზის, ჯგუფური მუშაობის, თანამშრომლობითი, ევრისტიკული, გონებრივი იერიშის, ქმედებაზე ორიენტირებული, ისტორიული, შედარებითი (comparative) და სხვა. სწავლება-სწავლის პროცესში მეთოდები ერთმანეთს ავსებენ და ერთმანეთში გადადიან. სტუდენტი ჩართულია სასწავლო და/ან კვლევით საქმიანობაში.

კონკრეტული სასწავლო კურსის სწავლება-სწავლის მეთოდები ასახულია შესაბამისი სასწავლო კურსის სილაბუსში. პროფესორი იყენებს ერთ ან რამდენიმე მეთოდს ან ნებისმიერ სხვა მეთოდს კონკრეტული სასწავლო-კვლევითი ამოცანის შესასრულებლად. კავკასიის უნივერსიტეტში სტუდენტის სწავლა და სწავლება ორიენტირებულია პრაქტიკული კომპეტენციების გამომუშავებაზე. პროგრამის სილაბუსებსი ასახულია და სემინარულ მეცადინეობებზე გამოყენებულია კაზუისტიკური სწავლების მეთოდი (შემთხვევის ანალიზის (Case study) მეთოდი), რომელიც ეფუძნება კონკრეტული შემთხვევების (კაზუსების) განიხილვას, უნდა აღინიშნოს, რომ სილაბუსების უმრავლესობაში დეტალურადაა განმარტებული სწავლება-სწავლის მეთოდები. მაგალითად ასეთი კურსებია: სისხლის სამართალი (ადამიანისა და კაცობრიობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაული), სისხლის სამართლი (დანაშაულის სხვა სახეები), სისხლის სამართლი (ზოგადი ნაწილი), ადმინიტრაციული სამართლის კერძო ნაწილი, ზოგადი ადმინისტრაციული სამართალი, ვალდებულებითი სამართლის ზოგადი ნაწილი, შრომის სამართალი. თუმცა ამასთან ერთად გვხდება სილაბუსები, სადაც სწავლება-სწავლის მეთოდები მხოლოდ ჩამოთვლილია და არ არის მოცემული მათი დეტალური განმარტება, რაც სტუდენტისთვის სასარგებლო იქნებოდა. მაგალითად მეთოდები არ არის დეტალურად განმარტებული ისეთი კურსების სილაბუსებში, როგორიცაა: ადამიანის ძირითადი უფლებები და თავისუფლებები, ადმინისტრაციული სამართლის პროცესი, საქართველოს კონსტიტუციური სამართალი, სამეწარმეო სამართალი, საბანკო სამართალი და ფინანსური ინსტიტუტების რეგულირება, ადმინისტრაციული სამართალდარღვევები, საგადასახადო სამართალი, საკონსტიტუციო მართლმსაჯულება, საბანკო სამართალი და ფინანსური ინსტიტუტების რეგულირება, პოლიტიკური და სამართლებრივი მოძღვრებანი, პროფესიული ეთიკა.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ საბაკალავრო პროგრამა ○ პროგრამის თვითშეფასების ანგარიში ○ სილაბუსები ○ ინტერვიუები
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა √ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.6. სტუდენტების შეფასება
სტუდენტების შეფასება ხორციელდება დადგენილი პროცედურების მიხედვით, გამჭვირვალეა და კანონმდებლობასთან შესაბამისი.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი სილაბუსების ანალიზის შედეგად, ჩანს რომ პროგრამის სილაბუსებში ნათლად არის განსაზღვრული სწავლის/სწავლების მეთოდები, შეფასების კრიტერიუმები და პირობები რაც შეესაბამება საქართველოს განათლების შესახებ კანონმდებლობას. შეფასების სისტემა უშვებს: ხუთი სახის დადებით შეფასებას: (A) ფრიადი – შეფასების 91-100 ქულა; (B) ძალიან კარგი – მაქსიმალური შეფასების 81-90 ქულა; (C) კარგი – მაქსიმალური შეფასების 71-80 ქულა; (D) დამაკმაყოფილებელი – მაქსიმალური შეფასების 61-70 ქულა; (E) საკმარისი – მაქსიმალური შეფასების 51-60 ქულა. ორი სახის უარყოფით შეფასებას: (FX) ვერ ჩააბარა – მაქსიმალური შეფასების 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება; (F) ჩაიჭრა – მაქსიმალური შეფასების 40 ქულა და ნაკლები,რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი. სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კომპონენტში, FX-ის მიღების შემთხვევაში დამატებითი გამოცდა დაინიშნება დასკვნითი გამოცდის შედეგების გამოცხადებიდან არანაკლებ 5 კალენდარულ დღეში. სტუდენტის მიერ დამატებით

გამოცდაზე მიღებულ შეფასებას არ ემატება დასკვნით შეფასებაში მიღებული ქულათა რაოდენობა. დამატებით გამოცდაზე მიღებული შეფასება არის დასკვნითი შეფასება და აისახება საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კომპონენტის საბოლოო შეფასებაში. დამატებით გამოცდაზე მიღებული შეფასების გათვალისწინებით საგანმანათლებლო კომპონენტის საბოლოო შეფასებაში 0-50 ქულის მიღების შემთხვევაში, სტუდენტს უფორმდება შეფასება F-0 ქულა. ყველა სილაბუსში ახსნილი და განმარტებულია შეფასების თითოეული კომპონენტის (მონაწილეობა, ლექციაზე დასწრება, შუალედური და საბოლოო გამოცდა, წერითი დავალება, დამოუკიდებელი სამუშაო/საშინაო დავალება, რეფერატის მომზადება, ქვიზი) შფასების კრიტერიუმები. სილაბუსებში მითითებულია შეფასების მეთოდები რაც თითოეული კომპონენტის მიხედვით სწავლის შედეგის მიღწევას უზრუნველყოფს. თუმცა გვხდება ზოგიერთი სილაბუსი, მაგალითად, საერთაშორისო კერძო სამართალი, სადაც შეფასების კრიტერიუმები და პირობები დეტალურად არ არის განმარტებული.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ საბაკალავრო პროგრამა ○ პროგრამის თვითშეფასების ანგარიში ○ სილაბუსები ○ ინტერვიუები
რეკომენდაციები: • ყველა სილაბუსში მკაფიოდ და ამომწურავად უნდა იყოს გაწერილი შეფასების მეთოდები და კრიტერიუმები. სტუდენტს უნდა ჰქონდეს ამომწურავი ინფორმაცია, თუ როგორ, რა კრიტერიუმებითა და მეთოდებით შეფასდება.
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

√ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა	√			

3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა

პროგრამა უზრუნველყოფს სტუდენტზე ორიენტირებული გარემოს შექმნას, შესაბამისი სერვისების შეთავაზებით; ხელს უწყობს სტუდენტების მაქსიმალურ ინფორმირებას, ახორციელებს მრავალფეროვან ღონისძიებებს და ხელს უწყობს სტუდენტების ჩართულობას ადგილობრივ და/ან საერთაშორისო პროექტებში.

3.1 სტუდენტთა საკონსულტაციო მომსახურება
სტუდენტი იღებს სასწავლო პროცესის დაგეგმვაზე, აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებაზე, დასაქმებაზე სათანადო კონსულტაციას და კარიერულ განვითარებასთან დაკავშირებით მხარდაჭერას.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი კავკასიის უნივერსიტეტის მიერ სამართლის საბაკალავრო პროგრამის აკრედიტაციის მიზნით წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის, სხვა დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით დასტურდება, რომ კავკასიის უნივერსიტეტის სტუდენტები იღებენ სასწავლო პროცესის დაგეგმვაზე, აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებაზე, დასაქმებაზე სათანადო კონსულტაციას, და კარიერულ განვითარებასთან დაკავშირებით მხარდაჭერას. მოქმედი აკრედიტაციის სტანდარტების შინაარსიდან გამომდინარე, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება სტუდენტებს უნდა სთავაზობდეს საკონსულტაციო მომსახურებას, რაც ხელს შეუწყობს მათ განვითარებასა და სწავლის შედეგების მიღწევას. ამასთან, სტუდენტები ინფორმირებულნი უნდა იყვნენ საკონსულტაციო სერვისების

მიღების შესაძლებლობის შესახებ, რომლებსაც უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება სთავაზობს. მიზანშეწონილია, რომ საკონსულტაციო პროცესში ჩართული იყოს როგორც ადმინისტრაციული, ისე აკადემიური პერსონალი.

კავკასიის უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტისას მიღებული ინფორმაციის საფუძველზე გამოიკვეთა, რომ სამართლის სტუდენტები იღებენ სათანადო კონსულტაციას სასწავლო პროცესის დაგეგმვასთან, აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებასთან და დასაქმებასთან დაკავშირებით.
სტუდენტთა კონსულტირებისა და აუცილებელი ინფორმაციის მიწოდების პროცესში ჩართულია კავკასიის უნივერსიტეტის არაერთი სტრუქტურული რგოლი.

კავკასიის უნივერსიტეტის სამართლის საბაკალავრო პროგრამის სტუდენტებს აქვთ შესაძლებლობა საგანმანათლებლო პროგრამების და სასწავლო პროცესის მარეგულირებელი ძირითადი დოკუმენტების შესახებ ინფორმაცია მიიღონ უნივერსიტეტის ვებ-გვერდიდან, სკოლის დეკანატისგან, სასწავლო პროცესის მართვის და სტუდენტთა რეგისტრაციის სამსახურისაგან, ხარისხის მართვის დეპარტამენტისაგან და უნივერსიტეტის უნივერსიტეტის ბიბლიოთეკისაგან.

აღსანიშნავია აგრეთვე კავკასიის უნივერსიტეტში არსებული სასწავლო პროცესის მართვის სპეციალური ელექტრონული სისტემა, რომელშიც სტუდენტს აქვს პირადი გვერდი. ამ გზით, სტუდენტს შეუძლია მიიღოს სასწავლო პროცესის დაგეგმვისა და მიღწევების გაუმჯობესებისათვის საჭირო ინფორმაცია. პირად გვერდზე სტუდენტი ეცნობა სასწავლო და საგამოცდო ცხრილებს, გამოცდებზე მიღებულ შეფასებებს, სასწავლო კურსზის ხელმძღვანელების საკონტაქტო ინფორმაციას და სხვ.

„კავკასიის უნივერსიტეტის დებულების“ თანახმად, უნივერსიტეტის აკადემიური და მოწვეული პერსონალი ვალდებულია გულისხმიერად მოექცეს სტუდენტის პრობლემებს, დაეხმაროს მას შესაძლებლობებისა და კომპეტენციის ფარგლებში, გამოყოს დრო და ადგილი სტუდენტებთან კონსულტაციებისათვის საგნის შესწავლასთან, კვლევითი სამუშაოს ჩატარებასთან ან პროექტის შესრულებასთან დაკავშირებით.

აღნიშნული ვალდებულება პრაქტიკაშიც ხორციელდება. საბაკალავრო პროგრამის სტუდენტებს შესაძლებლობა აქვთ აუცილებელი კონსულტაცია მიიღონ აკადემიური და მოწვეული პერსონალისაგან, სილაბუსში მითითებულ სპეციალურად გამოყოფილ დროს. გარდა ამისა, პერსონალი სტუდენტებს კონსულტაციას უწევს ელექტრონული ფოსტის, სოციალური ქსელისა და სატელეფონო კომუნიკაციის გზით. აღნიშნული მეთოდები სტუდენტებთან კომუნიკაციის ძირითადი საშუალებებია.

ამასთან კავკასიის უნივერსიტეტში სტუდენტთა კონსულტირებისა და მხარდაჭერაში მონაწილეობს არაერთი სპეციალური სტრუქტურული ერთეულიც.

საბაკალავრო პროგრამის სტუდენტს მათთვის მოსახერხებელ დროს შესაძლებლობა აქვთ საჭირო ინფორმაცია მიიღონ ელექტრონული ფოსტის საშუალებით, რომელზეც რეაგირებას ახდენს უნივერსიტეტის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახური.

სტუდენტთა კონსულტაციის პროცესში ჩართულია კავკასიის უნივერსიტეტის ადმინისტრაციის სხვა რგოლებიც. „კავკასიის სამართლის სკოლის დებულების“ თანახმად, საგანმანათლებლო პროგრამის დირექტორი, საგანმანათლებლო პროგრამის ეფექტურად განხორციელების მიზნით თავისი კომპეტენციის ფარგლებში ხელს უწყობს აკადემიურ პერსონალთან სტუდენტები სინდივიდუალური კონსულტაციების პროცესს და არასააუდიტორიო აქტივობებს.

ამავე დებულებით კავკასიის უნივერსიტეტში თავის უფლებამოსილებებს ახორციელებს სტუდენტთა მომსახურების მენეჯერი.

კავკასიის უნივერსიტეტში ასევე ფუნქციონირებს სტუდენტების მომსახურების და სასწავლო პროცესის მონიტორინგის დეპარტამენტი, რომელიც ახორციელებს სტუდენტების სემესტრული რეგისტრაციისა და ხელშეკრულების გაფორმების პროცესში სტუდენტების დახმარებას და კომპეტენციის ფარგლებში კონსულტირებას.

უმაღლესი განათლების სფეროში საქართველოს კანონმდებლობის თაობაზე, სტუდენტთა უფლებების დაცვისა და მათი ვალებულებების თაობაზე, სტუდენტის სტატუსისა და მობილობის შესახებ კონსულტირების და დახმარების მიზნით, უნივერსიტეტში ფუნქციონირებს სტუდენტთა ომბუდსმნის ოფისი.

ამგვარად უნივიერსიტეტის არაერთი სტრუქტურული რგოლი უზრუნველყოფს სტუდენტებისათვის საჭირო ინფორმაციის მიწოდებას. ადმინისტრაციის, აკადემიური და მოწვეული პერსონალის განმარტებით კომუნიკაციის ძირითად საშუალებად გამოიყენება ელ-ფოსტა, სოციალური ქსელები, სატალეფონო და პირადი კონსულტაციები. თუმცაღა, ადმინისტრაციის განმარტებით, კავკასიის უნივერსიტეტში არსებული სპეციალური ელექტრონული პორტალი, კერძოდ სტუდენტის პირადი გვერდი არ იძლევა საშუალებას განორციელდეს კომუნიკაცია საგნის პედაგოგებთან. სუდენტთა ელექტორნული პორტალის ამ ფუნქციით აღჭურვა მეტ სისტემურობას შესძენდა სტუდენტთა კონსულტაციის პროცესს.

აღსანიშნავია ასევე კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის როლი საბაკალავრო პროგრამის სტუდენტთა კარიერულ განვითარების მხარდაჭერის საკითხში.

„კავკასიის უნივერსიტეტის დებულების“ შესაბამისად, უნივერსიტეტის ერთ-ერთი დამხმარე სტრუქტურული ქვედანაყოფია კარიერული განვითარების და დასაქმების სამსახური. აღნიშნული სამსხახური შექმნილია, უნივერსიტეტის სტუდენტთა და კურსდამთავრებულთა კარიერული განვითარებისა და მათი დასაქმების ხელშეწყობის მიზნით.

„კავკსიის უნივერსიტეტის დებულების“ 42-ე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, კარიერული განვითარების და დასაქმების სამსახური:

ა) უზრუნველყოფს სტუდენტთა და კურსდამთავრებულთა კარიერულ განვითარებას და მათ დასაქმებას;
ბ) უზრუნველყოფს დასაქმებისათვის საჭირო უნარ-ჩვევების (რეზიუმეს მომზადება, ინტერვიუში მონაწილეობა) განვითარებასთან დაკავშირებულ სემინარების ორგანიზებას;
გ) გეგმავს და ახორციელებს წამყვანი ორგანიზაციების და უწყებების ვიზიტს უნივერსიტეტში მოწვეული სტუმრის სახით მასტერ-კლასების ჩატარების მიზნით;
დ) ხელს უწყობს უნივერსიტეტში სხვადასხვა კომპანიებს მიერ უნივერსიტეტში პროექტების განხორციელებას. სტაჟირება, სტიპენდია და სხვა წამახალისებელი პროექტების შემუშავებას.
ე) უზრუნველყოფს დასაქმების ფორუმების მოწყობას და პარტნიორი ორგანიზაციების მიერ მოწყობილ დასაქმების ფორუმებში სტუდენტთა/კურსდამთავრებულთა ინფორმირებას და მათი მონაწილეობს ხელშეწყობას;
ვ) უზრუნველყოფს ადგილობრივ და საერთაშორისო წამყვან კომპანიებთან თანამშრომლობის გაღრმავებას და მათთან ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმების გაფორმებას;
ზ) ეხმარება სკოლებს მისი პროფილის მქონე ორგანიზაციებთან დაკავშირებაში სტუდენტების პრაქტიკაზე განაწილებისა და დასაქმების მიზნით;
თ) დამსაქმებლების მოთხოვნის საფუძველზე, სკოლის დეკანატისგან მიღებული ინფორმაციაზე დაყრდნობით გასცემს რეკომენდაციებს სტუდენტებსა და კურსდამთავრებულებზე;
ი) ახდენს დამსაქმებლების მიერ მოწოდებული ვაკანსიების მიწოდებას სამიზნე ჯუფებთან და მათი დასაქმებისთვის საჭირო პროცედურების განხორციელებას;
კ) ახორციელებს დებულებით განსაზღვრულ სხვა უფლებამოსილებებს.

ზემოაღნიშნული სამსახური პრაქტიკაში ახორციელებს აღნიშნულ საქმიანობას. წარმოდგენილი დოკუმენტაციით დასტურდება, რომ კავკასიის უნივერსიტეტის ახორციელებს შრომის ბაზრის კვლევასაც.

ინტერვიურების დროს, საბაკალავრო პროგრამის სტუდენტებმა და კურსდამთავრებულებმა დაადასტურეს, რომ კავკასიის უნივერსიტეტის მხრიდან ისინი ხშირად იღებენ ინფორმაციას კონკრეტული ვაკანსიების შესახებ.

ინტერვიურების შედეგად გამოირკვა, რომ კავკასიის უნივერსიტეტის აკადემიური და მოწვეული პერსონალიც ჩართულია საბაკალავრო პროგრამის სტუდენტთა კარიერულ განვითარებაში. პერსონალის ჩართულობა გამოიხატება სტუდენტთა ჩართვაში სტაჟირების პროექტებში, რეკომენდაციის გაწევაში დასაქმებისა თუ საზღვარგარეთ სწავლის გაგრძელებისათვის. პერსონალი აგრეთვე უზრუნველყოფს სტუდენტთა ჩართვას ადგილობირვ თუ საერთაშორისო პროექტებში, საგრანტო პროექტებში და კონკურსებში.

აღსანიშნავია ისიც, რომ უნივერსიტეტს გაფორმებული აქვს არაერთი მემორანდუმი, ხელშეკრულება თუ შეთანხმება, რომელიც მოიცავს თანამშორმლობას სხვადასხვა ორგანიზაციასთან, სტუდენტთა სტაჟირების, პრაქტიკის და დასაქმების მიმართულებით.

ექსპერტთა ჯგუფმა ჩაატარა გასაუბრება კავკასიის უნივერსიტეტის პარტნიორ რამოდენიმე დამსაქმებელთან. ინტერვიუს ესწრებოდნენ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ცენტრალური საარჩევნო კომისიისა და საერთაშორისო გაჭვირვალობა საქართველოს წარმომადგენლებ. გასაუბრებაზე დამსწრე დასმსაქმებლებმა აღნიშნეს, რომ მათი თანამშრომლობა უნივერსიტეტთან აქტიურია და სტუდენტები ხშირად მონაწილეობენ სტაჟირების პროექტებში. თუმცა, ზემოაღნიშნულიდან ვერცერთმა დამსაქმებელმა ვერ დაადასტურა საბაკალავრო პროგრამის კურსდამთავრებულთა დასაქმების შემთხვევები. შესაბამისად, რეკომენდებულიაა გაიზარდოს უნივერსიტეტის პარტნიორები და მათი ჩართულობა სტუდენტთა დასაქმებაში.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- კავკასიის უნივერსიტეტის მმართველი საბჭოს 2018 წლის 27 ივლისის №2 დადგენილებით დამტკიცებული „კავკასიის სამართლის სკოლის დებულება“;
- კავკასიის უნივერსიტეტის პრეზიდენტის 2018 წლის 21 თებერვლის #01/01-03 ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების წესი“;
- სამართლის საბაკალავრო პროგრამა;
- სასწავლო კურსების სილაბუსები;
- ბაზრის კვლევის დამდასტურებელი დოკუმენტი, 2018 წელი;
- მემორანდუმები, ხელშეკრულებები და შეთანხმებები;
- ინტერვიუირების შედეგები.

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- მიზაშეწონილია უნივერსიტეტში არსებული სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონული პორტალი აღიჭურვოს აკადემიურ/მოწვეულ პერსონალთან, ანუ სასწავლო კურსის ხელმძღვანელთან მიმოწერის ფუნქციით. ერთიანი ცენტრალიზებული საკომუნიკაციო სისტემა, ელ-ფოსტის, სოციალური ქსელების, სატელეფონო და პირადი კონსულტაციებთან ერთად უკეთ უზრუნველყოფს აკრედიტაციის აღნიშნული სტანდარტის პრაქტიკაში განხორციელებას.
- მიზანშეწონილია უნივერსიტეტმა იზრუნოს სტუდენტთა კარიერული განვითარებისა და დასაქმების მხარდაჭერის მიზნით სხვადასხვა ორგანიზაციებთან პარტნიორობის გაფართოებაზე, იმგვარად, რომ პრაქტიკაში უკეთ განხორციელდეს სტუდენტთა კარიერული განვითარებისა და დასაქმების მხარდაჭრა.

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

○ განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს კავკასიის უნივერსიტეტში მოქმედი ომბუდსმენის ოფისი, რომელიც უზრუნველყოფს სტუდენტთა ინფორმირებას, კონსულტირებას და მათი უფლებების ეფექტურ დაცვას.
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ο გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა √ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

3.2 მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ხელმძღვანელობა
მაგისტრანტებსა და დოქტორანტებს ჰყავთ კვალიფიციური ხელმძღვანელი.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი ○ საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით აღწერეთ, გააანალიზეთ და შეაფასეთ საგანმანათლებლო პროგრამის მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობა; ანალიზში უნდა აისახოს პრობლემატური საკითხები (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ კომპონენტის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით
რეკომენდაციები: წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ○
შეფასება o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	√			

4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა

ადამიანური, მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები უზრუნველყოფს პროგრამის მდგრად, სტაბილურ, ეფექტიან და ეფექტურ ფუნქციონირებას და განსაზღვრული მიზნების მიღწევას.

4.1 ადამიანური რესურსი
➢ პროგრამას ახორციელებენ შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პირები, რომლებსაც აქვთ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების გამომუშავებისათვის აუცილებელი კომპეტენცია; ➢ პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული სასწავლო პროცესის წარმართვას და ასევე, სამეცნიერო-კვლევითი/შემოქმედებითი/ საშემსრულებლო საქმიანობისა და სხვა მათზე

დაკისრებული ფუნქციების ჯეროვან შესრულებას. აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს შორის ბალანსი უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას; ➢ პროგრამის ხელმძღვანელს გააჩნია პროგრამის შემუშავებისათვის აუცილებელი ცოდნა და გამოცდილება და უშუალოდაა ჩართული პროგრამის განხორციელებაში; ➢ პროგრამის სტუდენტები, უსდ-ის მიერ უზრუნველყოფილები არიან სათანადო რაოდენობისა და შესაბამისი კომპეტენციის მქონე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალით.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი პროგრამის განხორციელებას უზრუნველყოფს აკადემიური, მოწვეული და ადმინისტრაციული პერსონალი. კავკასიის უნივერსიტეტში გამართულად და წარმატებით მუშაობს ადმინისტრაცია, რათა სტუდენტები უზრუნველყოფნ უმაღლესი დონის მომსახურებით. ინტერვიუების დროს გამოიკვეთა სტუდენტთა კმაყოფილება პროგრამის მენეჯერებისა და კოორდინატორების მხრიდან ყურადღებიან დამოკიდებულებისა და კონსულტაციების თაობაზე, რაც ნამდვილად მისასალმებელია. მენეჯმენტი უზრუნველყოფს პროგრამის გამართულ განხორციელებას. პროგრამის ხელმძღვანელი გამოცდილი და კვალიფიციური პროფესორია, რომელსაც გააზრებული აქვს პროგრამის კონცეფცია, სტრუქტურა, სასწავლო კურსების შინაარსი. იგი ჩართულია პროგრამის განხორციელებაში უშუალოდაც, უზრუნველყოფს კონსულტაციებსა და სტუდენტებთან მუდმივ კონტაქტს. პროგრამის განხორციელებაში ჩართული არიან როგორც აკადემიური პერსონალი, ისე მოწვეული ლექტორები. მისასალმებელია პრაქტიკული საგნების მიმართულებით პრაქტიკოსი ლექტორების ჩართულობა, რაც სტუდენტებს მეტად გაუმახვილებს ყურადღებას პრაქტიკულ ნიუანსებსა და პრობლემებზე. ამასთან, სასურველია, აკადემიური პერსონალი იკვლევდეს და ქმნიდეს აკადემიურ პროდუქციას სამართალში. პროფესორთა ნაწილს არ უფიქსირდება კვლევა უკანასკნელი 5, ზოგსაც 10 წლის განმავლობაში, რაც მნიშვნელოვანი პრობლემაა.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ პროგრამაში ჩართული პირების რეზიუმეები ○ ინტერვიუები
რეკომენდაციები: • პროფესორებმა, რომლებიც არ არიან პრაქტიკოსები და ამ ნიშნით არ კითხულობენ ლექციებს, უნდა გააძლიერონ კვლევითი კომპონენტში, აუცილებელია პროფესორები იკვლევდნენ და ქმნიდნენ აკადემიურ პროდუქციას სამართალში.
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან √ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.2 აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება
➢ დაწესებულება რეგულარულად აწარმოებს პროგრამაში ჩართული აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის შეფასებასა და შედეგების ანალიზს; ➢ უსდ ზრუნავს აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიულ განვითარებაზე, ასევე ხელს უწყობს მათ მიერ სამეცნიერო/კვლევითი საქმიანობის განხორციელებას.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი უნივერსიტეტის ხელს უწყობს პერსონალის განვითარებას, სთავაზობს გაცვლით პროგრამებს, როგორც ERASMUS +-ის ფარგლებში, ისე ცდილობს წაახალისოს მათი პიროვნული განვითარებისთვის მნიშვნელოვანი აქტივობები, კონფერენციებში მონაწილეობა, ცნობიერების ამაღლება პლაგიატთან დაკავშირებით. აკადემიურ პერსონალსა და მოწვეულ ლექტორებს შესაძლებლობა აქვთ უნივერსიტეტის მიერ ორგანიზებულ აკადემიურ ღონისძიებებში მიიღონ მონაწილეობა, ასევე, უნივერსიტეტი უზრუნველყოფს, დაინტერესების შემთხვევაში, ლექტორების მონაწილეობას საზღვარგარეთ სამეცნიერო და აკადემიურ ღონისძიებებში.

მისასალმებელია უნივერისტეტის მიერ შიდა კვლევითი გრანტების სისტემის დანერგვა, რომლითაც დაწესებულება წაახალისებს თავის აფილირებულ და არააფილირებულ აკადემიურ პერსონალს და მოწვეულ ლექტორებს, იკვლიონ, მიიღონ მონაწილეობა სხვადასხვა სამეცნიერო აქტივობაში.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ ინტერვიუები
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ο გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა √ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.3 მატერიალური რესურსი
პროგრამა უზრუნველყოფილია იმ აუცილებელი ინფრასტრუქტურითა და ტექნიკური აღჭურვილობით, რაც საჭიროა საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი უნივერსიტეტის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა ნამდვილად შთამბეჭდავია, აუდიტორიები, სასწავლო სივრცე, რეკრეაციული სივრცე და ა.შ. აკმაყოფილებს ყველაზე

თანამედროვე მოთხოვნებსა და გამოწვევებს. განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია იმიტირებული პროცესების დარბაზი, სადაც სტუდენტებს უტარდებათ პრაქტიკული მეცადინეობები, ასევე, მონაწილეობას იღებებენ სასამართლო პროცესების მოდელირებაში, რაც მათი პრაქტიკული უნარების განვითარებას მნიშვნელოვნად უწყობს ხელს. უნივერსიტეტის ბიბლიოთეკა ძალზე კომფორტულია მუშაობისა და კვლევისათვის, რესურსები კატალოგიზებულია და შესაძლებელია ელექტრონულად მათი მოძებნა. ღია საბიბლიოთეკო სივრცეში წიგნები მოცემულია არასტანდარტულად, არათემატურად და დალაგებულია მათი უნივერსიტეტში მიღების მიხედვით და არა უნივერსალური აღრიცხვის კოდის (UDC-უაკ) მიხედვით, რაც მნიშვნელოვნად ართულებს სტუდენტის მიერ სასურველი ლიტერატურისა თუ მასალი მოძიებას უშუალოდ წიგნად ფონდში. უნივერსიტეტს აქვს ავტორიზებული წვდომა „კოდექსის“ პროგრამაზე, თუმცა არა „საქართველოს საკანონმდებლო მაცნეზე“, რაც პრობლემურია, რადგან ეს უკანასკნელი საქართველოში ერთადერთი ავთენტური წყაროა, რომელზე გამოქვეყნების შედეგაც ნორმატიული აქტების სავალდებულო სამართლებრივ ძალას იძენენ. მნიშვნელოვანია, სტუდენტებს ჰქონდეთ ამ რესურსზე წვდომა. ბაკალავრიატის სტუდენტების შემთხვევაში „საქართველოს საკანონმდებლო მაცნის“ მომსახურებაზე ავტორიზებული წვდომა გადამწყვეტი არაა, ვინაიდან უნივერსიტეტს ალტერნატიული პროგრამა აქვს, თუმცა სასურველია.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ ინტერვიუები ○ მატერიალურ-ტექნიკური ბაზის დათვალიერება ადგილზე
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის • სასურველია ბიბლიოთეკაში წიგნები დალაგდეს და განთავსდეს უნივერსალური აღრიცხვის კოდების (UDC) მიხედვით, რათა დოქტორანტებს გაუმარტივდეთ წიგნების მოძიება თემატურად უშუალოდ საბიბლიოთეკო სივრცეში. • სასურველია უნივერსიტეტმა უზრუნველყოს სტუდენტების ავტორიზებული წვდომა „საქართველოს საკანონმდებლო მაცნის“ მომსახურებაზე

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა √ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.4 პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტი და პროგრამის ფინანსური მდგრადობა
პროგრამის/ ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტით გათვალისწინებული ფინანსური რესურსების გამოყოფა ეკონომიკურად მიღწევადია და შეესაბამება პროგრამის საჭიროებებს.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი პროგრამა ფინანსურად მდგრადი და გამართულია, იგი მომგებიანია და არ უწევს უნივერსიტეტის დოტაციაზე ყოფნა. ხანგრძლივი არსებობის ისტორია და მდგრადობა, უზრუნველყოფს პროგრამისთვის შემოსულობების სტაბილურობას. უნივერსიტეტის ადმინისტრაციას არ უწევს დამატებითი ფინანსების გაღება პროგრამის განხორციელებისთვის.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ პროგრამის ბიუჯეტი ○ ინტერვიუები
რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა √ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	√			

5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები

სწავლების ხარისხის განვითარების მიზნით პროგრამა იყენებს შიდა და გარე ხარისხის სამსახურებს, პერიოდულ მონიტორინგსა და შეფასებას უწევს პროგრამას. აგროვებს და აანალიზებს რელევანტურ ინფორმაციას შესაბამისი გადაწყვეტილების მისაღებად და განსავითარებლად.

5.1 შიდა ხარისხის შეფასება
პროგრამაში ჩართული პერსონალი თანამშრომლობს შიდა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან პროგრამის ხარისხის შეფასების პროცესის დაგეგმვის, შეფასების ინსტრუმენტების შემუშავებისა და შეფასების განხორციელების პროცესში და იყენებს ხარისხის შეფასების შედეგებს პროგრამის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

კავკასიის უნივერსიტეტის სააკრედიტაციო ვიზიტის დროს სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის, თანდართული დოკუმენტებისა და ვიზიტის დროს გამოიკვეთა რამდენიმე მნიშვნელოვანი გარემოება.

1. თვითშეფასების ანგარიშში განმარტებულია ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების ზოგადი პარადიგმა მატ შორის „დაგეგმე, განახორციელე, შეამოწმე, განავითარე" ციკლი, თუმცა ხარისხის უზრუნველყოფის კუთხით, ბუნდოვანია რატომ ენიჭება უპირატესობა აღნიშნული ციკლის იმ ნაწილს, რომელიც შემოწმებას ეხება, რამდენდაც ოთხდონოვანი წრიული ციკლურობა ლოგიკური ეტაპებით არის დაკავშირებული და ყველა თანაბრად მნიშვნელოვანია სწორი პროცესის უზრუნველსაყოფად.

2. ხარისხის უზრუნველყოფა სამართლის სკოლის დონეზე უპირატესად კონცენტრირებულია მენეჯერების დონეზე, რომლის კოორდინაციას ახორციელებს ხარისხის უზრუნველყოფის დეპარტამენტის დირექტორი. იქიდან გამომდინარე, რომ 2017 წლის ბოლოს განხორციელებული აკრედიტაციის ექსპერტთა განმავითარებელი ვიზიტის მომენტიდან მიმდინარე სააკრედიტაციო ვიზიტის ჩათვლით ხარისხის უზრუნველყოფის დეპარტამენტის დირექტორის თანამდებობა ორჯერ შეიცვალა და იმის გათვალისწინებით, რომ 2017 წლის ბოლოსათვის ხარისხის უზრუნველყოფის დეპარტამენტის ხელმძღვანელი ახალი დანიშნული იყო, პროცესის სწორ ფუნქციონირებას დადებით კონტექსტს არ სძენს. ამას ადასტურებს ის გარემოებაც, რომ სამართლის საბაკალავრო პროგრამის თვითშეფასების პროცესში მონაწილე ძირითადი პერსონალის წარმოდგენა ინტერვიუირებისას ვერ მოხერხდა, რადგან, ხარისხის უზრუნველყოფის დეპარტამენტის მსგავსად, საქვეუწყებო სამსახურის თანამშრომლებთა ძირითადი ნაწილი ასევე განახლებულია. შესაბამისად, ინტერვიურს დროს შეუძლებელი აღმოცნდა იმ პირებთან უშუალოდ გასაუბრება (ერთი გამონაკლისის გარდა), რომლებიც სააკრედიტაციო დოკუმენტაციის მომზადებაში ხარისხის სამსახურის მხრიდან იყვნენ ჩართულნი. შესაბამისად, რთულია იმის დადასტურება, რომ თუ რამდენად ხდებოდა ხარისხის უზრუნველყოფის სისტემაში შემავალი პირების პროცესის ყველა ეტაპზე ჩართულობა. ბუნებრივია, აღნიშნული არ და ვერ შეეხება ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ახლად დანიშნულ ხელმძღვანელს.

3. პროგრამის თვითშეფასებიდან ირკვევა, რომ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების წესი ითვალისწინებს აკადემიური, ადმინისტრაციული პერსონალის, სტუდენტების, კურსდამთავრებულებისა და დამსაქმებლების ჩართულობას, თუმცა, ინტერვიუირების დროს გამოიკვეთა, რომ პროგრამის განმახორციელებელი პერსონალი ხარისხის უზრუნველყოფის სისტემაში ძალიან სუსტად არის ინტეგრირებული.

აღშანიშნავია, რომ ხარისხის უზრუნველყოფის კუთხით გამოკითხვები ჩატარებულია, თუმცა მათი შედეგების ანალიზის საფუძველზე განხორციელებული ცვლილებების დამადასტურებელი დოკუმენტის მოძიება თანდართულ დოკუმენტებში ვერ მოხერხდა.

მტკიცებულებები/ინდიკატორები • ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიში. • ინტერვიუირება. • ხარისხის უზრუნველყოფის დოკუმენტები, კერძოდ, გამოკითხვები და შედეგები.
რეკომენდაციები: • სასურველია, რომ ხარისხის უზრუნველყოფის სისტემამ ხარისხის უზრუნველყოფის რეალური ციკლურობა აჩვენოს, რითიც უზრუნველყოფილი იქნება პროცესის განვითარება-დახვეწა.
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან √ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

5.2 გარე ხარისხის შეფასება
პროგრამა რეგულარულად იყენებს გარე ხარისხის შეფასების შედეგებს.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი გარე ხარისხის შეფასების შედეგების გამოყენების კუთხით მნიშვნელოვანია 2017 წლის აკრედიტაციის ექსპერტთა განმავითარებელი ვიზიტის შედეგები და მისი ადაბტაცია პროგრამის განვითარების მხრივ. როგორც თვითშეფასებიდან იკვეთება, განმავითარებელი გარე შეფასების შედეგების ნაწილი ასახულ იქნა პროგრამის რეაკრედიტაციისათვის

მზადების პროცესში, ხოლო გარკვეული ნაწილების ასახვა იგეგმება სამომავლოდ. სასურველია, გარე ხარისხის შეფასების ის შედეგი, რომელიც ჯერ კიდევ არ აისახა პროგრამაში განმარტებული ყოფილიყო თვითშეფასების დოკუმენტში ფართოდ, დასახულიყო ის პრობლემები/მიზეზები, რის გამოც ვერ მოხერხდა ან რის გამოც ხელი შეეშალა პროგრამაში სათანადო ცვლილების ასახვას, ხოლო ამის შემდეგ დასახულიყო/ნაჩვენები ყოფილიყო მისი რეალური გათვალისწინების პროცესი და ვადები. აქვე აღსანიშნავია, რომ პროგრამის რეაკრედიტაციისათვის მომზადების ჯგუფის ინტერვიუზე წარმოდგენილ წევრთა აბსოლიტურმა უმრავლესობამ აკრედიტაციის ექსპერტთა განმავითარებელი ვიზიტის შედეგად დადებულ დასკვნას არ იცნობდნენ. საინტერესოა გარე ხარისხის შეფასების დროს საერთაშორისო ექსპერტების მოწვევის პროცესი, რომელიც თვითშეფასებაში ნახსენებია, თუმცა ინტერვიუირებითა და თვითშეფასებას თანდართული დოკუმენტებით ის არ დასტურდება. ბუნებრივია, აქ არ იგულისხმება განმავითარებელი ვიზიტის ეტაპი, რომელშიც ცენტრის მხრიდან იყვნენ ჩართულნი უცხოელი ექსპერტები. დაბოლოს, მნიშვნელოვანი იქნებოდა და უნდა ყოფილიყო წარმოდგენილი გარე ხარისხის შეფასების ის შედეგები, რომელიც 2014 წლის აკრედიტაციის პროცესის დასრულების შედეგად დაიდო, რადგან ის, ქართული რეალობისათვის, გარე ხარისხის კონტროლის უმთავრესი პროგრამული მექანიზმია. შედეგად, უკეთესად გამოჩნდებოდა პროცესი განვითარების ჭრილში.
მტკიცებულებები/ინდიკატორები • თვითშეფასების ანგარიში • ინტერვიუირება • პროგრამის რეაკრედიტაციისათვის მომზადების ჯგუფის ოქმები.
რეკომენდაციები: • სასურველია, გარე ხარისხის შეფასების ის შედეგი, რომელიც ჯერ კიდევ არ აისახა პროგრამაში განმარტებული ყოფილიყო თვითშეფასების დოკუმენტში ფართოდ, დასახულიყო ის პრობლემები/მიზეზები, რის გამოც ვერ მოხერხდა ან რის გამოც ხელი შეეშალა პროგრამაში სათანადო ცვლილების ასახვას, ხოლო ამის შემდეგ დასახულიყო/ნაჩვენები ყოფილიყო მისი რეალური გათვალისწინების პროცესი და ვადები. • სასურველია, რომ პროგრამის რეაკრედიტაციისათვის მომზადები ჯგუფს გაანალიზებული ჰქონდეს აკრედიტაციის ექსპერტთა განმავითარებელი ვიზიტის შედეგად დადებული დასკვნა.
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ο გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან √ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

5.3. პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება
პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება ხორციელდება აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული ადმინისტრაციული, დამხმარე პერსონალის, სტუდენტების, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლების და სხვა დაინტერესებული მხარეების ჩართულობით ინფორმაციის სისტემური შეგროვების, დამუშავებისა და ანალიზის მეშვეობით. შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი ხარისხის უზრუნველყოფის დეპარტამენტს შემუშავებული აქვს საგანმანათლებლო პროგრამების შეფასებისა და გაუმჯობესების მექანიზმები. თვითშეფასების ანგარიშში მოცემულია, რომ დარგის განვითარების , შიდა და გარე დაინტერესებული მხარეების გამოკითხვის, ბაზრისა და კანონმდებლობის მოთხოვნების გათვალისწინებით პროგრამა განიცდის ცვლილებას. თუმცა, თვითშეფასების ანგარიშს ბაზრის კვლევის დამადასტურებელი დოკუმენტი ან/და ინფორმაცია არ ერთვის თან. შრომის ბაზრისა და განათლების ბაზრის კვლევა მნიშვნელოვანი გარემოებაა პროგრამის პერსპექტივების განსაზღვრისათვის. მიუხედავად იმისა, რომ დამსაქმებელთა გამოკითხვის შედეგი თან ერთვის გამოგზავნილ დოკუმენტაციას, დამსაქმებლებთან ინტერვიუირებისას მათი მხრიდან არ გამოიკვეთა პროგრამის თვითშეფასების, მონიტორინგისა თუ განვითარების პროცესში ჩართულობა. აქვე აღსანიშნავია, რომ მოწვეული ლექტორები ნაკლებად არიან ან არ არიან ჩართულნი პროგრამის მონიტორინგსა და პერიოდულ შეფასებაში. ანალოგიური მდგომარეობაა კურსდამთავრებულებთან მიმართებით, რომლებსაც კურსდამთავრებულთა კითხვარის შესახებ არ ჰქონდათ ინფორმაცია. აღნიშნული დადასტურდა ინტერვიუირების შედეგად პროგრამის მონიტორინგის კუთხით თვითშეფასების ანგარიშსა და თანდართულ დოკუმენტებში წარმოდგენილი პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი,

სადაც, მაგალითად, მოცემული სამიზნე ნიშნულები, თუმცა, მხოლოდ სამიზნე ნიშნული მისი გამოთვლის ათვლის წერტილის გარეშე ისევე არაფრის მთქმელია, როგორც ცალკე აღებული ციფრი თუ რიცხვი. სასურველია, სამიზნე ნიშნულის აღება გარკვეულ წინარე კვლევას დაეფუძნოს, რაც შექმნის მყარ საფუძველს დასახული მიზნის მიღწევისა და მიღწეული შედეგის კონტროლისათვის. აღსანიშნავია, რომ სტუდენტების გამოკითხვა ხორციელდება სემესტრულად, რომლის შედეგებსაც სამართლის სკოლა განიხილავს. თვითშეფასების ანგარიშში მოცემულია ინფორმაცია, რომ საგანმანათლებლო პროგრამის დადარება ხდება უცხოურ პროგრამებთან, რაც ხელს უწყობს საერთაშორისო პრაქტიკის დანერგვას. თუმცა, არც თვითშეფასების ანგარისის მტკიცებულებებში და არც ინტერვიუირებისას აღნიშნული პროცესის ნამდვილობა ვერ დადასტურდა განხორციელებული ანალიზის შედეგების წარმოუდგენლობის გამო.
მტკიცებულებები/ინდიკატორები • თვითშეფასების ანგარიში • ინტერვიუირება
რეკომენდაციები: სასურველია, რომ საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშში აისახოს ის ფაქტობრივი მდგომარეობა და პროცესი, რაც ინსტიტუციის მხრიდან სააკრედიტაციოდ დოკუმენტაციის მომზადების პროცესში რეალურად განხორცილდა. სასურველია, რომ დამსაქმებლები და სხვა დაინტერესებული პირები აქტიურად და რეალურად იყვნენ ჩართულნი პროგრამის მინიმუმ მონიტორინგის პროცესში.
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

√ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები		√		

თანდართული დოკუმენტაცია (არსებობის შემთხვევაში)

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება: შპს - კავკასიის უნივერსიტეტი

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება: სამართლის საბაკალავრო პროგრამა

დასკვნის გვერდების რაოდენობა: 39

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტები	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა		√		
2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა	√			
3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	√			
4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	√			
5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები		√		

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე

დიმიტრი გეგენავა

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრ(ებ)ი

გიორგი მახარობლიშვილი

მალხაზ ნაკაშიძე

ილია წიკლაური